საიდუმლო აგენტის
უცხო ენების
გამოწვევების
წიგნი
TOP SECRET
TOP SECRET
TOP SECRET
ქარ

უპასუხე 50+1 ლინგვისტურ გამოწვევას და გახდი მაღალი დონის საიდუმლო აგენტი

ძვირფასო აგენტო,

როგორც საერთაშორისო აგენტი, თქვენ აღმოაჩენთ ახალ ადგილებსა და უცხო ქვეყნებს. ეს რთული გამოწვევა იქნება. რადგან კარგი აგენტი დარწმუნებული უნდა იყოს თავის ლინგვისტურ შესაძლებლობებში, რომ არსად გაამხილოს თავისი ვინაობა! ამიტომ უცხო ენებზე რაც შეიძლება თავისუფლად უნდა საუბრობდეთ. ეს სახელმძღვანელო შევადგინეთ, რომ საიდუმლო აგენტად გახდომაში დაგეხმაროთ.

ლინგვისტური გამოწვევები, რომლებსაც ამ გვერდებზე იხილავთ უფრო მეტად ყოველდღიური ჩვეულებრივი საკომუნიკაციო დავალებები იქნება, რომლისთვისაც ყველა აგენტი მომზადებული უნდა იყოს.

კვლევამ აჩვენა, რომ ზოგიერთი მოსწავლე ყოველთვის არ იყენებს ყველა საშუალებას გაკვეთილებს მიღმა, რომ გაივარჯიშოს იმ უცხო ენაში, რომელსაც სკოლაში სწავლობს.

ნამდვილი კომუნიკაცია უცხო ენაზე სტრესის გარეშე არ ჩაივლის, მითუმეტეს, როდესაც დავალებაზე ხართ. და ეს სტრესი გამოიხატება შეცდომებში. იმაში, რომ თანამოსაუბრეს ვერ გააგებინებთ სათქმელს, მის ნათქვამს ვერ გაიგებთ, სხვა ვინაობას დაასახელებთ და უცხო ენას მცდარად გამოიყენებთ.

ეს საიდუმლო აგენტის სახელმძღვანელო გამზადებთ ამგვარი სიტუაციებისთვის. რაც შეიძლება მეტ ლინგვისტურ გამოწვევას უპასუხეთ, რომ დავალებაზე ყოფნისას თავდაჯერებული იყოთ, ეს მნიშვნელოვანია !

წარმატებას გისურვებთ აგენტო!

ენების ევროპული დღის მთავარი აგენტი

თქვენი კოდური სახელი :

თქვენი ნამდვილი სახელი:

აგენტის განყოფილება/სკოლა/დაწესებულება:

თითის ანაბეჭდი:

თქვენი დავალება



ყაო მათიიძ ილუცნცყონ
.თცძლძაწლ ძაყცყშონაგ ტცნ აბცლუხიცნ

,აღაოჯ იძინაბაძცნ თცძყაცნ
.ძაყცყშონაგ თბცძლძაწლ იჯ ყოოგოო

იბცყცყშონაგ იოათლჯაძ თაილუხიგცნ

.თოოცშათ ინადაოგ ოლუაიყცნძ ინოლუობ

ყაძცთოო .იბცყცყშონაგ ილუბცლულოძცნ თცლუაყთიათ
თაყცლუხცგ ,თბცძლძაწლ ძაყცყშონაგ 02 აჭოყ ლუძ

.ცზთოცყგბცყ იტაჯიდიტოცძ თოთიინ 6ოო აბცლუდლ
edl.ecml.at/languagechallenge.

ყურადღება: ამ სახელმძღვანელოს თვითგანადგურება არ მოხდება, როგორც კი ყველა დავალებას უპასუხებთ!

რატომ 50+1 გამოწვევა?

უპირველეს ყოვლისა გამოწვევები სახალისო უნდა იყოს! მათ გამოწვევებს იმიტომ ვუწოდებთ, რომ რაღაც ახალს აღმოგაჩენინებთ, რასაც ჩვეულებრივ დროს არ გააკეთებდით, და გაგიყვანთ თქვენთვის ჩვეული კომფორტის ზონიდან. ზოგიერთი გამოწვევა გარისკვას მოითხოვს - მაგრამ, ხომ იცი, ვინც არ რისკავს არაფერი აქვს !

50

50+1 გამოწვევა შესაძლებლობების მრავალფეროვნებას იძლევა. შეგიძლიათ აირჩიოთ სად შეასრულებთ: დავალებაზე ყოფნისას, კლასში, მარტო, მეგობრებთან თუ ოჯახთან ერთად.

ზოგიერთი უფრო რთულია (რთული მისიები მონიშნულია) მაგრამ უმრავლესობა უფრო მოქნილია და გათვლილია სხვადასხვა ასაკზე, კონტექსტზე, ენებზე და ენების ფლობის სხვადასხვა დონეებზე.

იმედი გვაქვს, რომ ზოგიერთი გამოწვევა წაგახალისებთ და თქვენც მოიფიქრებთ ახალ გამოწვევებს, რომლებიც შეგიძლიათ დაამატოთ ამ სიას.

51-ე გამოწვევა

51-ე გამოწვევა განსაკუთრებულია, სადაც შეგიძლიათ თქვენი კრეატიულობა გამოავლინოთ და აჩვენოთ მთელ მსოფლიოს (ან მის ნაწილს მაინც) რისი გაკეთება შეგიძლიათ ერთ ან რამდენიმე უცხო ენაზე. მისი სახელია «რის გაკეთებას გაბედავდი სხვა ენაზე?»

+1

ამ გამოწვევის ფარგლებში, ჩვენ გთავაზობთ, დაპოსტოთ მოკლე ვიდეო (მაქსიმუმ 30 წამიანი) ენების ევროპული დღის ვებგვერდზე ამ თემი ს შესახებ. ვიდეო შეიძლება შეიცავდეს ამ წიგნში მოცემულ ერთ ან მეტ გამოწვევას ან თქვენი იდეების გამოხატულება იყოს.

აქვე გაფრთხილებთ, რომ ვიდეოს გადაღებისას არავითარ შემთხვევაში ზიანი არ მიაყენოთ არც თქვენს ჯანმრთელობას და არც სხვისას!

ყველაზე კრეატიული ვიდეოები თავმოყრილი იქნება ენების ევროპული დღის ვებგვერდზე (edl.ecml.at).

გამოწვევები, სადაც რამდენიმე ენა დაგჭირდება

1. მივესალმე (მაგალითად ვუთხარი «გამარჯობა») ან სულაც ვთქვი «მიყვარხარ» 5 ენაზე 1 წუთში.

ზეპირმეტყველება

შესრულების თარიღი

ხელმოწერა

2. გამოვიცანი 5 ენა (უშეცდომოდ!) თამაშში *ეს რომელი ენაა?* ენების ევროპული დღის ვებგვერდზე.
edl.ecml.at/whichlanguage

მოსმენილის გაგება

შესრულების თარიღი

ხელმოწერა

3. დავითვალე 1-დან 10-მდე 3 ენაზე 1 წუთში.

შესრულების თარიღი

ხელმოწერა

1000

4. მივესალმე 3 უცხო ენაზე (რომელიც ჩემი მშობლიური ენა არაა!).

შესრულების თარიღი	ხელმოწერა

5. დავწერე ერთი და იგივე სიტყვა 3 ენაზე, რომელიც იყენებს 3 განსხვავებულ ანბანს (ბერძნული, კირილიცა და ლათინური).

წერა

შესრულების თარიღი	ხელმოწერა

6. ნიშნების ენაზე ვისწავლე 2 სიტყვა და ჩემი სახელის დამარცვლა (საერთაშორისო ან შენი ქვეყნის ნიშნების ენაზე).

ნიშნების ენა

შესრულების თარიღი	ხელმოწერა

7. ჩემს ენაზე აღმოვაჩინე 5 სხვა ენიდან ნასესხები სიტყვა, რომელიც მსგავსად ჟღერს.

კითხვა

შესრულების თარიღი	ხელმოწერა

8. დავწერე ჩემი საყვარელი ფერი/სპორტი/ჰობი/ცხოველი 3 სხვადასხვა ენაზე !

შესრულების თარიღი	ხელმოწერა

9. აღმოვაჩინე და დავწერე 3 სიტყვა ჩემს ენაზე, რომელიც სხვა ენებზე სულ სხვა რამეს ნიშნავს (ცრუ მეგობრები!)

შესრულების თარიღი	ხელმოწერა

10. ვიპოვე პოლიგლოტი, რომელიც 5 ენაზე საუბრობს და გავიგე მიზეზი, რატომ საუბრობს ის ამდენ უცხო ენაზე.

შესრულების თარიღი	ხელმოწერა

11. მოვუსმინე 5 სიმღერას სხვადასხვა ენებზე.

შესრულების თარიღი	ხელმოწერა

გამოწვევები სადაც ერთი უცხო ენა მაინც დაგჭირდება

12. დავწერე ჩემი საყვარელი 3 სიტყვა რომელიმე უცხო ენაზე.

შესრულების თარიღი	ხელმოწერა

13. წავიკითხე კომიქსი უცხო ენაზე.

შესრულების თარიღი	ხელმოწერა

რთულია !

14. უცხო ენაზე ჩემი თავი წარვადგინე ვიდეოში.

შესრულების თარიღი	ხელმოწერა

15. უცხო ენაზე განვახორციელე სატელეფონო/ skype/Messenger ზარი.

შესრულების თარიღი	ხელმოწერა

16. შევცვალე ჩემი ტელეფონის ან პლანშეტის ენა უცხო ენით ერთი (ან მეტი!) დღის განმავლობაში.

შესრულების თარიღი	ხელმოწერა

17. წავიკითხე ჟურნალი ან სტატია უცხო ენაზე და მეგობარს მოკლე შინაარსი მოვუყევი.

შესრულების თარიღი	ხელმოწერა

18. გავაგზავნე მოკლე შეტყობინება უცხო ენაზე.

შესრულების თარიღი	ხელმოწერა

19. მოვუსმინე აუდიო წიგნს უცხო ენაზე.

შესრულების თარიღი	ხელმოწერა

20. მოვუსმინე რადიო სადგურს უცხო ენაზე ერთი საათის განმავლობაში.

შესრულების თარიღი	ხელმოწერა

21. დავპოსტე ონლაინ ფორუმზე ან სოციალური მედიის პლატფორმაზე უცხო ენაზე.

შესრულების თარიღი	ხელმოწერა

22. ვუყურე ფილმს უცხო ენაზე (სუბტიტრებით).

შესრულების თარიღი	ხელმოწერა

23. ვუყურე ფილმს უცხო ენაზე (სუბტიტრების გარეშე).

შესრულების თარიღი	ხელმოწერა

24. გავიცანი უცხო ადამიანი რომლის მშობლიური ენაც ჩემისგან განსხვავდება და თავის ენაზე ვესაუბრე.

შესრულების თარიღი	ხელმოწერა

25. გამოვიყენე ლექსიკონი, ან სხვა წყარო, და ვისწავლე 10 ახალი სიტყვა უცხო ენაზე.

შესრულების თარიღი	ხელმოწერა

26. ტელევიზორში ვუყურე ჩემი საყვარელი სპორტის სახეობას უცხო ენაზე.

შესრულების თარიღი	ხელმოწერა

27. მოვძებნე კარაოკე ვერსია და ვიმღერე სიმღერა უცხო ენაზე.

შესრულების თარიღი

ხელმოწერა

28. მეგობართან ერთად დავწერე სიმღერის/ რეპის სიტყვები უცხო ენაზე.

შესრულების თარიღი

ხელმოწერა

29. გამოვიყენე რეცეპტი უცხო ენაზე და მოვამზადე სადილი (ისე, რომ არც სამზარეულო გადავბუგე და არც არავინ მომიწამლავს!)

შესრულების თარიღი

ხელმოწერა

30. ჩემს ენაზე გადავთარგმნე უცხო ენაზე დაწერილი სიმღერა.

შესრულების თარიღი

ხელმოწერა

31. ვუპასუხე ვიქტორინას უცხო ენაზე.

შესრულების თარიღი	ხელმოწერა

32. მოვყევი ანეკდოტი უცხო ენაზე (და ვიღაცამ გაიცინა!)

შესრულების თარიღი	ხელმოწერა

33. დავწერე მისალოცი ტექსტი (დაბ.დღის, გამოცდის ჩაბარების ან სხვა) უცხო ენაზე და ვიღაცას მივულოცე.

შესრულების თარიღი	ხელმოწერა

34. მოვყევი მოკლე ამბავი უცხო ენაზე.

შესრულების თარიღი	ხელმოწერა

10000

35. ბიბლიოთეკიდან გამოვიტანე და წავიკითხე წიგნი უცხო ენაზე.

შესრულების თარიღი	ხელმოწერა

36. გადმოვტვირთე (და გამოვიყენე) ჩემს ტელეფონზე ან პლანშეტზე ენების სასწავლო აპლიკაცია.

შესრულების თარიღი	ხელმოწერა

37. როდესაც არდადეგებზე ვიყავი სხვა ქვეყანაში, გამოვიყენე ადგილობრივი ენა რომ მივსალმებოდი, შემეკვეთა საჭმელი ან სასმელი ან გამეკეთებინა სხვა ყოველდღური მოქმედება.

შესრულების თარიღი	ხელმოწერა

38. მეგობარს ენობრივ გამოწვევაზე დაველაპარაკე უცხო ენაზე.

შესრულების თარიღი	ხელმოწერა

10001

39. მეგობარს მივწერე მოკლე საფოსტო ბარათი და დღესასწაული მივულოცე უცხო ენაზე.

შესრულების თარიღი	ხელმოწერა

40. გამოვიყენე *ენების ცოდნის თვითშეფასების პორტალი** რომ დამედგინა ჩემი ცოდნის დონე ერთ ან რამდენიმე ენაში.

შესრულების თარიღი	ხელმოწერა

41. 5 წუთზე ნაკლებ დროში დავასრულე ენების ევროპული დღის მეხსიერების თამაში ლათინური ანბანის და კირილიცას გამოყენებით.**

შესრულების თარიღი	ხელმოწერა

42. ვაწარმოე დღური უცხო ენაზე ერთი კვირის განმავლობაში.

შესრულების თარიღი	ხელმოწერა

*edl.ecml.at/languagetool

**edl.ecml.at/braingame

10010

43. უცხო ენებზე ვითამაშე შეხვედრების თამაში «Speak-dating».

შესრულების თარიღი	ხელმოწერა

44. მონაწილეობა მივიღე ენების აღმოჩენის გაკვეთილებში, რომელსაც ენების ევროპული დღის ფარგლებში ატარებენ.

შესრულების თარიღი	ხელმოწერა

45. დავიმახსოვრე და მოვყევი მოკლე ტექსტი უცხო ენაზე (ლექსი/სიმღერა/ამბავი)

შესრულების თარიღი	ხელმოწერა

46. გავაკეთე საყიდლების სია უცხო ენაზე.

შესრულების თარიღი	ხელმოწერა

47. ვითამაშე სამაგიდო თამაშები უცხო ენაზე მეგობრებთან ერთად.

შესრულების თარიღი	ხელმოწერა

48. აღმოვაჩინე რამდენ სხვადასხვა ენაზე საუბრობენ ჩემს კლასში/სკოლაში/ ორგანიზაციაში.

შესრულების თარიღი	ხელმოწერა

49. დავკავდი სპორტით მეგობრებთან ერთად და მხოლოდ უცხო ენაზე ვისაუბრე ერთი საათის განმავლობაში.

შესრულების თარიღი	ხელმოწერა

50. გავატარე მთელი ნაშუადღევი მეგობრებთან ერთად და ვსაუბრობდი უცხო ენაზე.

შესრულების თარიღი	ხელმოწერა

51-ე გამოწვევა

გილოცავთ, თქვენ უკვე მზად ხართ თქვენი დავალების დასრულებისთვის. გვიჩვენეთ რა შეგიძლიათ !

51. შექმენით მოკლე ვიდეო და აჩვენეთ რის გაკეთებას გაბედავთ უცხო ენაზე - ან ზემოთ მცემული გამოწვევების გამოყენებით ან თქვენივე იდეაზე დაყრდნობით !

შესრულების თარიღი	ხელმოწერა

მიჰყევით ინსტრუქციებს ვებგვერდზე და ატვირთეთ თქვენი ვიდეო აქ :
edl.ecml.at/languagechallenge

მოსმენილის გაგება

ზეპირ-მეტყველება

ნიშნების ენა

კითხვა

წერა

რთულია!

10101

თქვენი საკუთარი გამოწვევები

52.

შესრულების თარიღი

ხელმოწერა

53.

შესრულების თარიღი

ხელმოწერა

ჩვენ ყოველთვის გვაინტერესებს ახალი იდეები ენობრივ გამოწვევებთან დაკავშირებით, რომელსაც მომავალი წლის *ენობრივი გამოწვევების სახელმძღვანელოში* შევიტანთ. გამოგვიგზავნეთ თქვენი იდეები:
edl.ecml.at/languagechallenge

10110

თქვენი შენიშვნები

მე ვუპასუხე სულ გამოწვევას.

აბა, როგორ გაართვით თავი, აგენტო ?

მთლიანობაში, მას მერე რაც ვუპასუხე გამოწვევებს...

თავს უფრო მშვიდად ვგრძნობ როცა უცხო ენაზე ვსაუბრობ

სულაც არ არის ასე	არ არის ასე	დარწმუნებული არ ვარ	ვეთანხმები	სრულიად ვეთანხმები

მივიღე მოტივაცია, რომ უფრო ხშირად გამოვიყენო უცხო ენა

უფრო მეტად გავაცნობიერე, რომ ჩემ გარშემო ბევრი უცხო ენაა

მინდა უფრო მეტი გავიგო უცხო ენების შესახებ

აღმოვაჩინე ახალი საშუალებები უცხო ენების შესასწავლად/გამოსაყენებლად.

რამდენი ენის პოვნა შეგიძლია?

A À L O A K I N H Л Л E E A C K Й A L À
H L E O S L E K S K A L B Y И Ê И T E S
C A L G S V E N S K A O M З N L K I R A
S T G E R I T Ê Ç T M R A C H W C A D K
T A S L I D U N V Я A J M C P П C K И Ь
U C K A Q G L I A E И V S Q Ţ T У K A C
E S S G U Ă E K G K E E R D I E P O H H
D E Y T I Š C M C E G Ă F H V I Ê N N Ï
L G R L U У T H Á R Ë R E E U S K A R A
D O F B P Q O R E S A H Ţ Č T S Q I H P
P I Ñ A O Д H U A N I Č Š N E V O L S K
E J Л A E S B M Ç K P V I D I Š D A I У
N E U K P E A A S E S O V U L A T T L U
Б L A Ö Z S I N E D E R L A N D S I G Ă
I M A T A S E T S I G Ç O S D A H L N M
A A Ë I T V E S S K L Ü K N K I D Â E A
M L U Q O L H C T E I A S R R I M R A L
E R A L P I Q H S R E Y A E Ü O R O L T
S Í S L E N S K A M A G Y A R T E L U I
T E ი ლ უ თ რ ა ქ E G Ղ Ա Ց Ե Ր Ե Ն A S

შეგიძლია იპოვო 43 ენის დასახელება
მათ ორიგინალ ენაზე?
edl.ecml.at/languagematrix

11001

კონტექსტი

ენების ევროპული დღე ევროპის საბჭოს და ევროკომისიის ინიციატივაა, რომელიც ყოველ წელს 26 სექტემბერს აღინიშნება.

მისი მთავარი მიზანია :

- ცნობიერების ამაღლება ენების შესწავლის მნიშვნელობასთან დაკავშირებით ;
- ევროპის ენობრივი და კულტურული მრავალფეროვნების პოპულარიზაცია ;
- მთელი ცხოვრების მანძილზე უცხო ენების შესწავლის წახალისება, სკოლაში და მის ფარგლებს გარეთ.

ამ სახელმძღვანელოში შეტანილ ენობრივ გამოწვევებზე მუშაობისას ჩვენ ვეცადეთ ყველა ეს მიზანი აგვესახა, და გადმოგვეცა უცხო ენების მასწავლებლების მიდგომა.

www.coe.int/edl

COUNCIL OF EUROPE

EUROPEAN UNION

CONSEIL DE L'EUROPE

11010

სამადლობელი სიტყვა

ენობრივი გამოწვევების იდეა ეფუძნება ოტავას უნივერსიტეტის ოფიციალურ ენათა და ბილიგვიზმის ინსტიტუტის (კანადა) მიერ შემუშავებულ ენობრივი რისკების აღების ინიციატივას.

გულითად მადლობას ვუხდით პროფესორ ნიკოლაი სლავკოვს და LingRisk-ის გუნდს, რომ მოგვცეს საშუალება გამოგვეყენებინა მათი კონცეფცია და მასალა ენების ევროპული დღის ფარგლებში.

ccerbal.uottawa.ca/linguistic-risk

uOttawa

Institut des langues officielles et du bilinguisme (ILOB)

Official Languages and Bilingualism Institute (OLBI)

11011

ენების ევროპულ დღეს მხარს უჭერს და
კოორდინირებას უწევს ევროპის საბჭოს
ცოცხალი ენების ევროპული ცენტრი.
ენების ევროპული დღის ვებგვერდი:
www.coe.int/edl

EUROPEAN CENTRE FOR MODERN LANGUAGES
CENTRE EUROPEEN POUR LES LANGUES VIVANTES

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE